

გუდაურში სამაშველო ოპერაციისას დაღუპულები მედრით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ დააჭირდნენ



საქართველოს პრეზიდენტმა, სადომე ბურაბიშვიდმა 29 ივლისს გუდაურში, სამაშველო ოპერაციისას დაღუპული ეკიპაჟის წევრები, პროფესიული მოვარეობის შესრულებისას გამოვლენილი უმაღლესი სამოქალაქო პასუხისმგებლობისათვის, სამაგარიტო, თავგანწირული

ქმედებისათვის, მედრით „სამოქალაქო თავდადებისათვის“ დააჭირდნენ.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ გუდაურის ტრაგედიის დროს დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების მედრით – „სამოქალაქო თავდადებისათვის“ დაჭირდომების ცერემონიადს შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომედაური დაესწრო.

ღონისძიებას ასევე დაესწრნენ ჯანდაცვის მინისტრი ბურაბ აბარაშვილი, ტრაგიკულად დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების ოჯახის წევრები.

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ცერემონიარზე შინაგან საქმეთა მინისტრმა მომხდარი ტრაგედიის გამო კიდევ ერთხელ გამოთქვა მწუხარება და გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს თანაღვომა აღუთქვა.

ვახტანგ გომედაურმა საქართველოს პრეზიდენტს, სადომე ბურაბიშვიდს მადლობა გადაუხადა გარდაცვლილი თანამშრომლების დაჭირდომებისთვის.

მინისტრმა ასევე მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს, პატრიარქის თანამოსაყდრეს, მეუფე შიოს და სრულიად საქართველოს თანადგომისთვის.

„ამ ოპერაციის დროს რვა ადამიანი დაიღუპა – ოთხი მფრინავი, ორი მაშველი და ორი ექიმი, რომლებიც ცდილობდნენ სხვისი სიცოცხლის გადარჩენას. ერთ-ერთი მორიგი ღონისძიება იყო, სამაშველო ოპერაცია იყო, თუმცა, სამწუხაროდ, დიდი უბედურებით დამთავრდა. ჩვენ დავკარგეთ ჩვენი გმირები, პროფესიონალები.



მინდა, კიდევ გავიმეორო, ჩვენ ყოველთვის თქვენ გვერდით ვიქნებით, თუ რამით შეიძლება, ცოტათი მაინც რომ შეგვიმსუბუქოთ ეს დიდი ტკივილი. დღევანდელი ღონისძიებაც ბუსტად ამის გამოძახილია და მინდა, დიდი მადლობა მოგახსენოთ, ქაღბატონო პრეზიდენტო. ეს არის დიდი დაფასება ყვერასთვის, მთრიანად შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და მინდა მადლობა მოგახსენოთ ყვერას სახელით. ასევე, მსურს მადლობა გადავუხალო ბატონ პრემიერ-მინისტრს გვერდში დგომისთვის, დაფასებისთვის. აგრეთვე, მინდა უღრმესი მადლობა ვუთხრა ჩვენს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს გვერდში დგომისთვის, იმ ტკივილის გაზიარებისთვის, მეუფეებს, მეუფე შიოს და სრულიად საქართველოს“, – განაცხადა ვახტანგ გომედაურმა.

შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით, 29 ივლისს მომხდარი ტრაგედიის დროს დაღუპული ოთხი მფრინავი და ორი მაშველი დაჭირდნენ სამინისტროს პირველი ხარისხის მედლით –

„განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, ტრაგიკულად დაღუპული მფრინავების, მაშველებისა და ექიმების ოჯახებმა, მატერიალური დახმარების სახით, 100 ათასი დარი მიიღეს.